დამტკიცებულია თსსუ-ის
წარმომადგენლობითი საბჭოს

2018 წლის 07 მარტის N23/3 დადგენილებით

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულების სამეცნიერო პერსონალის აფილირების წესი

1. წინამდებარე წესი არეგულირებს სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის (შემდგომში - თსსუ) სამეცნიერო კვლევითი ერთეულების სამეცნიერო პერსონალის აფილირებას, ადგენს აფილირებასთან დაკავშირებით სამეცნიერო პერსონალისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულების უფლებებსა და მოვალეობებს;

2. აფილირება - წინამდებარე წესის მიზნებისათვის, დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულებსა და სამეცნიერო პერსონალის თანამდებობის მქონე პირს შორის წერილობითი შეთანხმება (აფილირების ხელშეკრულება), რომლითაც სამეცნიერო პერსონალის თანამდებობის მქონე თითოეული პირი განსაზღვრავს თავის აფილირებას მხოლოდ თსსუ-ის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებთან და მათი სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესში და:

2.1 დამოუკიდებელ სამეცნიერო კვლევით ერთეულებში ახორციელებს ძირითად კვლევით/სამეცნიერო საქმიანობას, ხოლო მისი კვლევის შედეგები ითვლება ამ ერთეულში;

2.2 აქტიურად არის ჩართული დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებში სამეცნიერო კვლევით და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში;

2.3 აქტიურად არის ჩართული სამეცნიერო ხელმძღვანელობის პროცესში.

3. უნივერსიტეტში სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში მონაწილეობის მიღებისას კონკურსანტი წინასწარ აცხადებს მზაობას ამ ერთეულთან აფილირების შესახებ და სამეცნიერო თანამდებობაზე არჩევის შემთხვევაში ხელშეკრულების დადებით და შესაბამისი თანხმობის ფორმის შევსებით კვლავ ადასტურებს მას(დანართი 1).

4. იმ შემთხვევაში, თუ სამეცნიერო თანამდებობაზე მყოფი პირი მოახდენს აფილირებას სხვა სამეცნიერო-კვლევით ერთეულთან, მასთან წყდება შრომითი ხელშეკრულება და იგი ტოვებს სამეცნიერო თანამდებობას.

5. სამეცნიერო პერსონალის ის ნაწილი, რომელიც აფილირდება სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, როგორც აკადემიური პერსონალი, ვალდებულია, დაიცვას თსსუ-ის დამოუკიდებელ სამეცნიერო კვლევით ერთეულთან დადებული შრომითი ხელშეკრულების პირობები და ამ ერთეულში სამეცნიერო კვლევითი მუშაობის შედეგები ჩაეთვალოს სწორედ თსსუ-ის დამოუკიდებელ სამეცნიერო კვლევით ერთეულს.

6. წინამდებარე წესი ამოქმედდეს დამტკიცებისთანავე.

დანართი 1

შეთანხმება აფილირების შესახებ

ქ.თბილისი

....წ

სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვლადიმერ ბახუტაშვილის სახელობის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი (შემდგომში - „დამსაქმებელი“), წარმოდგენილი დირექტორის, პროფესორ ..... სახით, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ .....(შემდგომში - „დასაქმებული“) თანახმა ვართ შემდეგზე:

1. დასაქმებული გახდეს აფილირებული სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვლადიმერ ბახუტაშვილის სახელობის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტთან და იღებს ვალდებულებას, ინსტიტუტის სახელით მონაწილეობდეს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესში და ვლადიმერ ბახუტაშვილის სახელობის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტში :

   ა) განახორციელოს ძირითადი სამეცნიერო-კვლევით საქმიანობა; თავისი კვლევის შედეგები ჩაეთვალოს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვლადიმერ ბახუტაშვილის სახელობის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტს ;

   ბ) აქტიურად ჩაერთოს ინსტიტუტის კვლევით და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში;

   გ) აქტიურად ჩაერთოს სტუდენტებისათვის კონსულტაციების გაწევისა და აკადემიური/სამეცნიერო ხელმძღვანელობის პროცესებში.
2. წინამდებარე შეთანხმების შეუსრულებლობის, ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში დასაქმებული ვალდებულია, დატოვოს დაკავებული სამეცნიერო თანამდებობა.

„დამსაქმებელი“

სსიპ თბილისის სახელმწიფო

ვლ. უნივერსიტეტის ბახუტაშვილის

„დასაქმებული“

სახელი,გვარი .....

სახელობის

სამედიცინო ბიოტექნოლოგიის

ინსტიტუტის

დირექტორი, ...

.....

ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას N33

ხელმოწერა.....

პ/ნ .....

ტელეფონი .....

მისამართი: .....

ხელმოწერა .....

დანართი 2

შეთანხმება აფილირების შესახებ

ქ.თბილისი ....წ

სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის (შემდგომში - „დამსაქმებელი“), წარმოდგენილი დირექტორის, პროფესორ ..... სახით, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ .....(შემდგომში - „დასაქმებული“) თანახმა ვართ შემდეგზე:

1. დასაქმებული გახდეს აფილირებული სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტთან და იღებს ვალდებულებას, ინსტიტუტის სახელით მონაწილეობდეს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესში და იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში :

   ა) განახორციელოს ძირითადი სამეცნიერო-კვლევით საქმიანობა; თავისი კვლევის შედეგები ჩაეთვალოს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტს ;

   ბ) აქტიურად ჩაერთოს ინსტიტუტის კვლევით და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში;

   გ) აქტიურად ჩაერთოს სტუდენტებისათვის კონსულტაციების გაწევისა და აკადემიური/სამეცნიერო ხელმძღვანელობის პროცესებში.
2. წინამდებარე შეთანხმების შეუსრულებლობის, ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში დასაქმებული ვალდებულია, დატოვოს დაკავებული სამეცნიერო თანამდებობა.

„დამსაქმებელი“

სსიპ თბილისის სახელმწიფო

იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის

დირექტორი ..... ,

„დასაქმებული“

სახელი,გვარი .....

პ/ნ .....

ტელეფონი .....

.....

ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას N33

ხელმოწერა .....

მისამართი: .....

ხელმოწერა .....